136
1992/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. გ. ლომიძისა თემა შ. სიხარულიძისა

— მასპინძელო!
— მოგრძანდით!
— დაიცა, ქალო! მოგრძანდითო, რომ ეძახი, ეგ კაცი ვის მხარეზეა?!.

ISSN 0132-6015

# ნიანგი

7-8

აპრილი
1992




## იუმორესკა

კარგა ხანია, ტრადიციად დამკვიდრდა რამდენიმესიტყვიანი წინადადებების, უფრო სწორად, ქვეყნებისა თუ კვლევითი ინსტიტუტების (Н И И) სახელწოდებების მასში შემავალი სიტყვების პირველი ასოებისაგან შედგენილი კომპოზიტით შეცვლა: С С С Р (ს ს რ კ), С Ш А (ა შ შ), Ф Р Г (გ ფ რ), К П С С (ს კ კ პ) და ა. შ.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის მძვინვარების პერიოდში, სხვაგვარად მოაზროვნე რუსმა ხალხმა К П С С შემდეგნაირად გაშიფრა: «Когда поймешь, с ума сойдешь!», ხოლო პერესტროიკის დასაწყისში, გორბაჩოვის ალკოჰოლის წინააღმდეგ გალაშქრებას დაუყოვნებლივ მოჰყვა: «Коммунисты пьют совершенно секретно!»

ანალოგიური ასოთშეთანხმებით შეიქმნა ახალგამომცხვარი С Н Г, რაც ქართულად დ ს თ-ს (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) ნიშნავს, თუმცა რომელ თანამეგობრობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როცა, შავიზღვისპირა ტერიტორიის მითვისების მიზნით, ელცინმა და კრავჩუკმა კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი!..

პირადად მე С Н Г-ს წინააღმდეგი არა ვარ, ოღონდ ერთი პირობით: პირველი ასოს შემდეგ აუცილებლად უნდა დაისვას მძიმე! თუ ამას გავაკეთებთ, მივიღებთ С, Н Г-ს, ანუ, Свободная, независимая Грузия-ს!

ასეთი С, Н Г-ს წინააღმდეგი სანთლით საძებნელია საქართველოში!

მაშ, გაუმარჯოს С, Н Г-ს, ქართულად — თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

ვასო რცხილაძე




ნახ. მ. აბაშიძისა

# ქალაქის აქტი-ვის კრებაზე

**იუმორესკა**

**ამას** წინათ შრომის დარბაზში შედგა დედაქალაქის მკვიდრთა აქტივის შეკრება, სადაც სიტყვით გამოსულმა ჩვენი ერის სახელოვანმა შვილებმა, ინტელიგენციისა და უბრალო, მშრომელი ადამიანების წარმომადგენლებმა დიდი გულისტკივილით იმსჯელეს ქვეყანაში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე, მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმო მიწის პრივატიზაციის პრობლემას.

შეკრების მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ უახლოეს ხანაში მიწა უნდა გადაეცეს მის მუდმივ მესაკუთრეს, რათა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მძიმე პირობებში, დროულად შევძლოთ ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა!

— მე ამა და ამ რაიონის მეხუთე ზონის, მერვე მასივის, მეთორმეტე მიკრორაიონის, მეთვრამეტე კვარტალის, ორმოცდამეერთე კორპუსის, ოცდამეორე სადარბაზოს, მეჩვიდმეტე სართულის ას ოცდამერვე ბინაში ვცხოვრობ. მართალია, როგორც ჩვენი საცხოვრებელი სახლი, ისე მთელი უბანი მოკლებულია ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს: არა გვაქვს წყალი, შუქი, გათბობა, გაზი, არ მუშაობს ტრანსპორტი, არ გააქვთ ნაგავი, დასახლებაში ცარიელია მაღაზიათა დახლები და ასე შემდეგ, მაგრამ მე სულ სხვა რამე მაწუხებს და სულ სხვა სატკივარმა მომიყვანა დღეს აქ. სოფელში მამაპაპეულ სახლ-კარს ლამის ეკალბარდმა გადაუაროს!.. კაცი არ არის მისი მიმხედავი! რომ იტყვიან, ღვთის ანაბარად არის დარჩენილი იქაურობა! საკუთარ სახლში, სადაც დავიბადე, სადაც ფეხი ავიდგი და გავიზარდე, ჩასვლა მეზარება! რამდენიმე წლის წინ მომიწია იქით გავლამ, რა ვნახე, რას ჰგავდა იქაურობა!.. ეტყობა, ერთ ადგილას, სახურავზე, კრამიტია ჩატეხილი, ჭერი ხომ სულ დამპალია, არც კედლებსა და იატაკს აყრია უკეთესი დღე!..

— სოფლის გაგონება არ მინდა! — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა თოხი ბალახაძემ. — ჩემი სახლ-კარი ნასახლარი გეგონება, — განაგრძო საკმაო პაუზის შემდეგ მან. — ამ ზაფხულს ქორწილში გავყევი მეგობარს მაყრად. გზად ჩემი სოფელი უნდა გაგვევლო. ცოტა შეზარხოშებულებიც კი გახლდით. აბა, რა გული გამიძლებდა, თვალი არ გადამევლო მშობლიური ეზო-კარისათვის?! მეგობრებიც უსიტყვოდ მიმიხვდნენ გულისწადილს და მანქანა ზედ ჩემს ჭიშკართან დაამუხრუჭეს.. ნეტა, საერთოდ, ფეხი არ გამედგა იქით! რა ნახეს ჩემმა თვალებმა: ეზო ზოოლოგიური პარკი გეგონებოდათ! რა ჯიშისა და ჯურის საქონელს არ ნახავდით იქ: ერთმანეთში ირეოდა ვირი, ჯორი, ცხენი, ძროხა, თხა, ღორი!.. თავზარი დამეცა!.. შევვარდი ეზოში, დავერიე პირუტყვს, სათითაოდ ვიფრინე იქიდან ყველა. ღობეც შევაკეთეთ, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, რამდენიმე წამში ჩვენმა მიბანდულ-დაბანდულმა ღობემ შეაკავოს ფასების ლიბერალიზაციის დროს, ქატოს დეფიციტის პირობებში, სოფლის გადარეული ღორები და, საერთოდ, პირუტყვი!..

— რა ადამიანია ის, ვისაც ერთი ძირი ხე მაინც არ დაურგავს თავის სიცოცხლეში?! ასეთებს აღმოსავლელი მბრძანებლები სიკვდილით სჯიდნენ!.. რამდენიმე წლის წინ სოფელში, მშობლიურ ეზოში რამდენიმე ძირი ბალი დავრგე. ვიფიქრე, პატარების პატრონი ვარ, მომავალი წინა მაქვს, რა სჯობია, საკუთარ ეზოში საკუთარი ხელით დარგული ხეხილიდან ხილს რომ მოკრეფ!..

ხეხილს რომ ვრგავდი, მეზობლებმა მითხრეს, — სამ წელიწადში ნაყოფს მოგცემსო!..

მეც მეტი სულგრძელობა გამოვიჩინე და, სამი კი არა, ოთხი წლის შემდეგ ჩავედი სოფელში, ცოლ-შვილთან ერთად.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაიხარეს პატარებმა, როგორ დახტოდნენ, დაკოტრიალობდნენ მწვანე მოლზე!..

— აბა, ბავშვებო, დრო არ დავკარგოთ, წავიდეთ ვენახისკენ! — მივმართე მათ. — ხომ უნდა გავუსინჯოთ ჩვენს ბალს გემო?!.!

შევედით ვენახში, უფრო სწორად, ნავენახარში და, აი, საკვირველება: რამდენიც არ ვაცეცეთ აქეთ-იქით თვალები, ბლის მსგავსი ვერსად ვერაფერი დავლანდეთ!..

თურმე სად ხარ!.. ნერგები მაშინვე გამხმარა!.. ვინ მორწყო, ვინ შემობარა, ვინ უპატრონა?!.

ასე სინანულით დაამთავრა თავისი გამოსვლა ქანჩურ ჭერამიშვილმა.

— ნეტა სხვა სადარდებელი არ მომცეს ღმერთმა! — დაიწყო ჩივილით შემდეგმა ორატორმა. — ერთ და ორ კილო ბალს ბაზარშიც ქე უყიდის ბავშვებს კაცი. მე სულ სხვა რამე მადარდებს. ნუთუ, არ გიფიქრიათ იმაზე, თუ რა ეშველება ჩვენს მამაპაპეულ კარ-მიდამოებს მას შემდეგ, რაც მოხდება მიწის სრული პრივატიზაცია: დასამუშავებლად საკუთარ მიწის ნაკვეთს ვერ აუვა სოფლის მკვიდრი და ვინ შემოვა შენს ეზოში, ვინ დაგიხნავს, ვინ დაგიბარავს, ვინ დაგითოხნის?! — მრავალმნიშვნელოვნად დაასკვნა სახნის ბელტაძემ.

ბელტაძის გამოსვლამ მართლა თავზარი დასცა იქ შეკრებილთ!..

კიდევ ბევრი გამოვიდა მას მერე, მათაც უდიდესი გულისტკივილით ილაპარაკეს და იმსჯელეს ჩვენს საერთო საზრუნავზე, ჩვენს ხვალინდელ დღეზე, განსაკუთრებით იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემას.

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი!

**ნოდარ ბართაია**

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამაზ [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სადღეისო პაროდია

მიმაქანებენ უფსკრულისკენ
დღეის ფასები,
თუ უკვე არ ვარ, შეშლილს მალე
დავემსგავსები!..
გასწით, ფასებო, თქვენს ჰენებას
არ აქვს საზღვარი
და ხვალვე გახდით დღევანდელზე
უფრო საზარი!

გასცილდით ჯერ ასს, მერმე ათასს,
ათი ათასსაც! —
ხომ გახსოვთ, კაცი და ზრდილობა
რადაც დაფასდა?!.
გასწით, გაკურცხლეთ, შემითხელეთ
ქისა საწყალი,
გამიუცხოვეთ მშობლიური
მიწა და წყალი!..

გრძელ-გრძელ რიგებში საათობით
მე მალოდინონ,
ველარ ვიყიდო ვერცა ხორცი,
ვერცა ლობიო!..
კვნესა ფულისა, ჯიბის ნაშთის,
მივცე დანახარჯს,
ჯოჯოხეთს წასვლა ვამჯობინო
ფასთა დანახვას!..

ნუ დავინახო მაცივარში
ლორის ნაჭერი,
ბორჯომის წყალი, ლიმონათი —
გაზით ნაჯერი,
ნურც ძეხვეული, ნურც კონსერვი,
ღვინო ქართული...
და ასე მქონდეს, უარაფროდ,
ქსელში ჩართული!..

დაე, მოკვდე შენ, — ჩემს თავს
ვეტყვი,
— ერთი ოხერი!
ვერ მიხვდი, რომ ამ უპატრონო
ქვეყნად მოხვედი!
გასწით, ფასებო, თქვენს ჰენებას
არ აქვს საზღვარი
და ხვალვე გახდით დღევანდელზე
უფრო საზარი!..

## ძალიან ადვილი გამოცანა

ერთი ვინმე სულიერი
მთელ დღეს რიგში მდგომელია,
იყოს მაინც ფულიერი —
დასახარჯი მოლევია,
აღარ უჰრის მუხლი ძველი,
დგას და დარდის მთოველია,
შინ მჭამელი უზის ბევრი —
დღიურ ლუკმას მოელიან!
... ერთი ვინმე სულიერი
ტკბილი ძილის მთმობელია,
მთელ დღეს რიგში მდგომელია —
აბა, მითხარ, რომელია?..

## ფიქრნი შიმშილის პირას

ვინ გვიმასპინძლებს
ცხელი მჭადით და ყველით —
ხელის განძრევას
გადავჩვეულვართ ყველა!..

* * *

არც ცენტრი, არცა დრო,
არცა ჟამი —
იმაში, რაცა გვჭირს,
ჩვენ ვტყუით ყველა!
... თუ გსურს რძე,
მაწონი, არაჟანი, —
იყოლე ძროხა და
ისწავლე წველა!

* * *

უხმოდ დავცქერი მარგარინს,
რა დიდი ხვითო მაგ არის?!
ხომ შევიძენდი მარაგად,
რომ იქცეოდეს კარაქად?!.

* * *

ჩემო ტკბილო შოკოლადო,
შენი ნახვა მენატრება, —
ფილებად რომ მოჰქონდითო!..
ეხ, რა აღარ მენატრება!..

## მაჯამები

უნდო და მძიმე ამ ჟამმა
მწარე მეც ბევრი მაჭამა,
იგრძნო სისუსტე მაჯამა,
მაინც დავწერე მაჯამა!..

* * *

თმებში თეთრი მორევია,
წელთ სიმრავლე მორევია,
წინ კი ავი მორევია!..

* * *

რის ჩემიანი და რის სხვა —
ყველას თავსაა ღვთის რისხვა!..

* * *

სად იატაკი და სად ჭერი —
განა ყველაა დასაჭერი?!.

* * *

ჩვენს აწმყოზე ფიქრი რომ
დამესია, —
ბელადების შევადგინე მე სია, —
მათში მხოლოდ ერთი იყო მესია!..

## ჩვენ

ისე როგორ მოვისვენებთ,
ისე როგორ ვივარგებთ,
ვინმეს თუ არ შევღაღადეთ:
„შენ ხარ წმინდა გივარგი!“
გაჰკიოდნენ ქალები და
შრიალებდნენ ხენიო:
„ამხედრდი და გაგვიძეხი,
აგერ თეთრი ცხენიო!..“
... ხოტბა ვასხი, შარავანდით
ისე ხშირად ვმოსეო —
მე თვითონვე დავიჯერე,
თითქოს იყო მოსეო!
ქართველების საქმე, ძმანო,
მგონი მართლა ესეა:
ვერა ვცხოვრობთ, ვინმე
ჩვენგანს
თუ არ ჰქვია მესია!..

## ისევ ჩვენ

ამ ჩვენს პატარა საქართველოს
ცხელზე ცხელი დღე დავაწიოთ:
გადავბუგოთ და გადავთელოთ,
ავაფეთქოთ და დავაქციოთ!..

ვძარცვოთ და ვულიტოთ
ერთმანეთი —
ძარღვიც გვქონია საძალადო,
მერმე გავშალოთ პერგამენტი
წარწერით:
„ჩვენ ვართ, რაცა ვართო!..“

# ძაღლური ცხოვრება

მურთაზ აბაშიძე









ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მრავალქვეყნური ანეკდოტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მას შემდეგ,** რაც თანამგზავრი გაუშვეს კოსმოსში ძაღლით, ტრამვაიში ერთი მგზავრი ეუბნება მეორეს:

— თუ იცი, რა სხვაობაა დედამიწასა და თანამგზავრს შორის?

— არა, არ ვიცი!

— თანამგზავრშიც დაიწყო ძაღლური ცხოვრება!

— თუ იცი, რა სხვაობაა შენსა და ტრამვაის შორის? — **ახლა მეორე მგზავრი შეეკითხა.**

— არა, არ ვიცი!

— ტრამვაი გზას გააგრძელებს, შენ კი ჩამობრძანდები და წამომყვები! — **უპასუხებს იგი და აჩვენებს პირადობის მოწმობას.**

— თუ იცი, რა სხვაობაა ჩემსა და შენს შორის? — **ეკითხება ისევ პირველი მგზავრი.**

— მაინც რა?

— არაფერი! — **და ისიც უჩვენებს პირადობის მოწმობას.**



* * *

— ორჯერ ორი ექვსია! — **აცხადებს ორატორი მიტინგზე და მის სიტყვებს აპლოდისმენტები მოჰყვება.**

— სიცრუეა: ორჯერ ორი ოთხია! — **ყვირის სიმართლის მოყვარული.**

**მას ოცი წლით ასახლებენ. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ისევ მიტინგზე მიდის.**

— ორჯერ ორი ხუთია! — **აცხადებს ისევ ის ორატორი და მის სიტყვებს კვლავ აპლოდისმენტები მოჰყვება.**

— სიცრუეა: ორჯერ ორი ოთხია! — **კვლავ ყვირის სიმართლის მოყვარული, ცხოვრებამ რომ ვერაფერი შეასწავლა.**

**მიტინგის დამთავრების შემდეგ ორატორი ჩამოდის ტრიბუნიდან, უახლოვდება მას და ჩურჩულით ეკითხება:**

— ნუთუ, შენ გსურს, რომ ორჯერ ორი ისევ ექვსი იყოს?!

* * *

**აზერბაიჯანულ რადიოს ეკითხებიან:**

— მაღლა ფრთებია, დაბლა საშინელება ხდება! რა არის?

— ბეღურა ზის სუკის შენობის სახურავზე. — **უპასუხებს ის.**

* * *

**ღრმა ორმოში ვარდება თხა, მცირე ხნის შემდეგ ვარდება ერთი ებრაელი. გადის დრო და იმავე ორმოში ვარდება მშიერი მგელი!..**

— ბეეე!.. ბეეე!.. — **ყვირის თხა.**

— რა ბეე-მეე აგიტყდა?! ამხანაგმა მგელმა იცის, ჩვენ ორს შორის რომელიც უნდა შეჭამოს! — **ეუბნება ებრაელი თხას.**

* * *

**ინგლისელი, ფრანგი და რუსი ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს ბედნიერების შესახებ.**

— ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა ზამთარში ნადირობიდან ხელსავსე ვბრუნდები, მერე გახურებულ ღუმელთან სავარძელში ვჯდები და ვწრუპავ ვისკის! — **ამბობს ინგლისელი.**

— მე ბედნიერი მაშინ ვარ, როცა კარგ რესტორანში კარგად ვსადილობ და ირგვლივ კარგი ქალები მახვევია! — **ამბობს ფრანგი.**

— თქვენ რა იცით, ბედნიერება რა არის?! — **ამბობს რუსი,** — როდესაც სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული ვბრუნდები ჩემს კომუნალურ ბინაში, სადაც ვცხოვრობ ორ შვილთან და სიდედრ-სიმამრთან ერთად. შუაღამისას კი ზარის რეკვა და კარებზე ბრახუნი მაღვიძებს. შიშისგან გულგახეთქილი კარს ვაღებ. ბინის ზღურბლზე ორი ნაგანიანი ჩეკისტი თვალებს მიბრიალებს და უკმეხად მეკითხება. — თქვენა ხართ მოქალაქე პარამონოვიო? და მე კი ვუპასუხებ. — არა. პარამონოვი ერთი სართულით მაღლა ცხოვრობს-მეთქი. ნამდვილი ბედნიერება ეს არის!

* * *

— რა საერთო აქვთ ცეკას გენერალურ მდივნებს და ამერიკელ უმუშევრებს?

— არც ერთს ხვალინდელი დღისა არ სწამს!

* * *

**ვოროშილოვის მსროლელი დგას პუშკინის ძეგლთან და საყვედურს გამოთქვამს:**

— ეს არის სამართალი?! მიზანში დანტესმა მოარტყა, ძეგლი კი პუშკინს დაუდგეს!..

**გადმოაქართულა ბიბა მახვილაძემ (მარტიაშვილმა)**



# საით გაფრინდა ბიუსტი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ილია ჭავჭავაძის დაბადების ას ორმოცდაათი წლისთავის საიუბილეოდ, 1987 წლის ნოემბრის დამდეგს, ზუგდიდში საზეიმოდ ჩამოხსნეს საბურველი „საქართველოს უგვირგვინო მეფის"... თაბაშირის ბიუსტს, რადგან ძირითადი მასალისაგან მისი ჩამოსხმა იმ დღისათვის ვერ მოესწროl ამ რამდენიმე საჩოთირო ფაქტს, ფარული უკმარისობის განცდის მიუხედავად, საზეიმო თავშეყრისათვის ელფერი არ დაუკლია. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, — ორი-სამი თვით ადგილობრივი კლიმატის ზემოქმედება თაბაშირის ნიმუშზე მომგებიანი და სასარგებლოც იქნება, მისგან სრულყოფილი, საბოლოო ვარიანტის შესაქმნელადო!

ძეგლის გახსნას ესწრებოდნენ თბილისიდან, სოხუმიდან, სხვა ქალაქებიდან მოწვეული სტუმრები: მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები!.. გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დიდი ილია თითქოს მეორედ ეწვია ოდიშს, გაიხსენეს სამეგრელოში პირველად ყოფნის დროს მის მიერ წარმოთქმული ცნობილი სიტყვები: „სამეგრელოში ვარ და საქართველო ვნახე!"

ზეიმის დასასრულს, ძეგლის ავტორმა, თ. კიკალეიშვილმა, მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და დაპირდა, — ბრინჯაოში, ან სხვა ძვირფას მასალაში გაცოცხლებული მწერალიც აქ მალე გამოგეცხადებათო! ტაშის გრიალში მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ აღთქმა-დაპირებანი, სხვა სიტყვებივით, ნოემბრის იმ სუსხიან ქარს თუ გაჰყვებოდა!..

მოქანდაკის გადაწყვეტით, ერის უკვდავი მამის ღრმად ჩაფიქრებული, სევდიანი ოპტიმიზმით შთაგონებული ბრძნული სახე ფრინველის ძლიერი ფრთებით გამოხატულ, ოდნავ მაღლა აწეულ უდრეკ მხრებს ეყრდნობოდა, რაც სიმბოლურად გამოხატავდა წმინდანად აღიარებული მოაზროვნის სულიერ ამაღლებას, ზესწრაფვას, ქედუხრელობას სამშობლოს ხსნისა და აღორძინებისათვის!..

ძეგლის მხატვრული გადაწყვეტის შეფასება მნახველებში თავიდანვე ერთგვაროვანი, არაკრიტიკული არ ყოფილა, მაგრამ მაინც ყველა მოუთმენლად ელოდა სათაყვანებელი მამულიშვილის ზუგდიდში საბოლოოდ დამკვიდრებას!..

ნავარაუდევი ვადა უხილავად გავიდა!.. მიჰყვა თვეები, წლები!.. თაბაშირის ფიგურას ჯერ სიყვითლე შეეპარა, მერე მოშავო ლაქებიც დააჩნდა!.. გაიბზარა მარცხენა მხარი, და იმ დროს, როცა ბიუსტს რღვევის აშკარა საფრთხე შეექმნა, თეთრი ქსოვილი შემოახვიეს!.. საბურველში მეორედ გახვეული ერის საამაყო შვილის დანახვა არანაკლებ ამაზრზენი და ამფორიაქებელი იყო გამვლელთათვის!..

მიტოვებულ ბიუსტზე რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში. აღშფოთებას ვერ ფარავდნენ ზუგდიდელები! პასუხად, ერთ მშვენიერ დღეს, თაბაშირის დასახიჩრებულ ქმნილებას სუდარა შემოხსნეს, ხოლო მოგვიანებით ბიუსტიც სადღაც უკვალოდ გაქრა!.. იმდაგვარი სახით მის არსებობას, შეიძლება, ასე ჯობდესო! — გაისმოდა უკმაყოფილო ხალხში.

დგას ახლა ორიოდე მეტრის სიმაღლის, ხსენებული ბიუსტისათვის არც იმდენად შესაფერისი, არმატურის წვერებამოჩონჩხლილი, მოშიშვლებული კვარცხლბეკი, როგორც ზეცისკენ მზერააპყრობილი, მავედრებელი უსახო კერპი, რომელიც გარემოს სევდა-ნაღველით ავსებს და უნებლიეთ გაფიქრებინებს, რომ რადგან წმინდანმა დამამცირებელი ყოფა ვერ აიტანა, მხატვრისაგან ნაბოძები ფრთებით ზეცისკენ აღევლინა!.. ბიუსტი კი საით გაფრინდა, აღარავინ უწყის!

ზუგდიდის კულტურის განყოფილებაში გვითხრეს, — მოქანდაკეს გადაუწყვეტია, ახალი ჩანაფიქრით, მწერლის მთლიანი, მონუმენტური ძეგლი შექმნასო! ღმერთმა ქნას, ეს სიტყვებიც ქარს არ წაეღოს! იქნებ ძლიერ მუხლებზე დაყრდნობილი წმინდა ილია მართლის ქანდაკი მუდმივად შემორჩეს მის მოწონებულ კუთხეს და არსად გაფრინდეს!

ანზორ ბარამია,

„ნიანგის" კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.



ნახ. ბ. ზუბაშვილისა

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კითხვა-პასუხი

**— რა მოსდის ქალიშვილს, როცა 16 წელი შეუსრულდება?**

— მეჩვიდმეტეში გადადის!

**— რა ხდება, როცა ციფრ 12-ზე საათის ისრები ერთმანეთს დაემთხვევა?**

— პირველი საათი იწყება!

**— რა უნდა ქნას კაცმა, თუ ქოლგა არა აქვს და ტრიალ მინდორში კოკისპირულმა წვიმამ მოუსწრო?**

— იდგეს და გამოდარებას დაუცადოს!

**— ანტარქტიდაში ხეები არაა. ქვიშის ქარიშხალი თუ ამოვარდა, სად უნდა შეაფაროს კაცმა თავი?**

— ანტარქტიდაში ქვიშას რა უნდა?!

**— შეიძლება თუ არა, ზღარბს ზურგზე ხელი გადაუსვა?**

— კი, თუკი გაპარსულია!

**— რა უნდა ქნას კაცმა, თუ ზურგი, კისერი, მუხლი და იდაყვი ერთდროულად ეტკენა?**

— აბანოში წავიდეს!



## დიალოგები

**სოფელი. საღამო. ორი მეგობარი სახლის აივანზე დგას.**

**რეზო:** — გივი, გინდა, მგლის ყმუილი მოგასმენინო?

**გივი:** — სადაა, ბიჭო, მგელი?!

**რეზო:** — დამაცა! (ყვირის) მიხოო!

**მიხო:** — (მეზობელი აივნიდან ეპასუხება) რა არი, ბიჭო?!

**რეზო:** — რამდენი ხანია, ხიზილალა არ გიჭამია?!

**მიხო:** — აუუუუ!..

* * *

**პოეტი:** — დიდი მადლობა, კაი ბიჭი ყოფილხარ!

**კრიტიკოსი:** — რის მადლობა?!

**პოეტი:** — ჩემზე რომ კარგი რეცენზია დაგიბეჭდავს!

**კრიტიკოსი:** — ლექსები კარგი იყო და რა მექნა?! პირადად შენზე რომ დამეწერა, მადლობას არ მეტყოდი!

* * *

— რად შეგიბამს კატისთვის ეჟვანი, მიხო?

— ხო იცი, თაგვი რა ბინძური რამ არის?

— მერე?!

— ბავშვები სულ მაგ კატასთან თამაშობენ და მეშინია, თაგვებს არ გაეკარონ!

## ხარი!!

მარწმუნებდი, ჩემო ფისო:
„ერთი მაქვსო საფიქრალი —
შევიყვარებ ვერავისო,
არა ვარო რაკი ქალი!"

სიმართლეა, მითი არა —
მე ვიცი და უფალს ესმის —
რომ ქალი ხარ, —
ის კი არა, —
ყველა ქალზე
უქალესი!

## ისევ ის...

სიზმარში შენთან მოსვლა მომინდა,
ნანატრი მომეც მე ზიარება,
მაგრამ გვერდით ის ამომიდგა და
ზიარებაში მეზიარება!..

## რატომ?!

ნეტავი რატომ, მეფევ, მემდური —
რომ ჩავატარე რეფერენდუმი?!

## ვეჟავოზ!..

რამზესს ხაზი გადავუსვი,
გავაღმერთე ოსირისი!..
რუსი თუ არ მიეხმარა,
მოქმედია ოსი რისი?!

## ანდაზფორიზმები

● **მარტო** მძოლის სიფხიზლე არ კმარა, თვითონაც უნდა იყო ფხიზლად!

● **საწყობიდან** გაჰქონდა და თავს იმართლებდა — ცხოვრებას თავისი გააქვსო!

● **ბენზინს** რომ ასხამდა, ავზს არ ავსებდა, სამაგიეროდ, თვითონ გაივსო!

● **მსუბუქ** საქციელს ხშირად მძიმე შედეგი მოსდევს ხოლმე!




## „გარდაიქმნა!.."

● **აქამდე** თითს უკაკუნებდა მაგიდაზე მთხოვნელს, ახლა მუშტს უბრახუნებს!..

● **აქამდე** ას-ას გრამს იპარავდა, ახლა კილოგრამობით მიაქვს!

● **აქამდე** ას მანეთს იღებდა ქრთამად, ახლა ათასს იღებს!

● **აქამდე** ვარჩევდით, რომელი ხარისხის ძეხვი გვეყიდა, ახლა ვარჩევთ, ერთი ხარისხისა მაინც იყოს!



— ღამის სამი საათია და თქვენ კი არ გძინავთ!..

— მეძინა, მაგრამ ექთანმა გამაღვიძა, დასაძინებელი აბის მოცემა დამავიწყდაო!..

— უჩინმაჩინის ქუდი გაქვთ?

— როგორ არა გვაქვს, ამოირჩიეთ!






— არ გვაქვს განათება, გათბობა, წყალი, გაზი!.. არ მუშაობს ლიფტი, ტელეფონი!.. არ გააქვთ ნაგავი!..

— სად ცხოვრობთ?!

— ქეთევან წამებულის პროსპექტზე!..



— ეს კაცი, რატომღაც, სულ ჩაკეტილია!..

— მაგი ადრე პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა, სულ ჩაკეტილი იყო, დახურულ კრებებს ატარებდა და მიეჩვია!..

# ქუქური ქუქულაძე

(ქ. ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი)

## სიზმარი

ბევრისაგან გამიგონია, — სიზმარი ამისრულდა! ბევრჯერ მეც ნანახი სიზმარი ცხადად მექცა, მაგრამ, რაც წუხელ ვნახე, მტრისას!..

გაღვიძებულმა სული ძლივს მოვითქვი, კიდევაც გამეღიმა, — რამდენ სისულელეს ნახავს კაცი სიზმარში-მეთქი! მეზობელს მოვუყევი, მეზობელმა სიცილი დამაყარა, — შენ, ძმაო, საბანი გადაგძრობია ძილშიო!

კიდევ კარგი, ძველი დრო არ არის, თორემ ციმბირს უკან დამატოვებინებდნენ, ისე, როგორც ერთ ჩემს ნათესავს დაემართა: სიზმარი ნახა და მეზობელს გაანდო! ის რა მეზობელი იქნებოდა, სიზმრის მნახველს თუ არ დააბეზღებდა, სადაც ჯერ არს!..

გამომძიებელმა საქმიანად უთხრა ჩემს ნათესავს:

— რატომ მე არ დამესიზმრა ჰიტლერი, რატომ მე არ გადამისვა თავზე ხელი, რატომ მე არ ჩამომკიდა რკინის ჯვარი?! რატომ, რატომ მე არ დამესიზმრა, შენ თუ არ გიყვარხო?!

მოკლედ, ჩემს ნათესავს ერთი სიზმარი ათი წლით პატიმრობა დაუჯდა!.. ტაიგაშიც ნახა ბევრი სიზმარი. მაგრამ შიშის გრძნობა ყინვასავით ატანდა სულში. მხოლოდ ერთხელ გაბედა და თქვა: — სტალინი მოკვდებაო! წარმოიდგინეთ, არავინ მიაქცია ყურადღება: — ალბათ გაგიჟდაო! — გაიფიქრეს, რადგან სტალინის სიკვდილი ვის წარმოედგინა?! იგი ქვეყნის დანგრევას, ან დედამიწის გაჩერებას უდრიდა!..

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ჩემი ნათესავი სულ დამუნჯდა!.. მეც მასავით არ ვერევი პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკა ყველაზე სახიფათო საქმეა! მთამსვლელივით ხარ: არ იცი, ზევიდან დაგეცემა ქვა თუ ფეხი დაგიცურდება კლდეზე!..

საქართველოში დღეს ისეთი ფსიქოზია, რომ სიზმარი არ უნდა გიკვირდეს! ყველაფრის გამო, რაც ხდება, სიზმარში მგონია თავი! მე კი ნამდვილი სიზმარი ვნახე: ხალხით გაჭედილ მოედანზე დიდი ტაშიტუშია, მგზნებარე ორატორები სამშობლოს ერთგულებისაკენ და მის საბოლოო გამარჯვებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს!..

გვერდით მდგომმა კაცმა ეჭვის თვალით დამიწყო ცქერა, რადგან ჩემთვის ვიდექი ჩუმად.

— თქვენ რატომ არ უკრავთ ტაშს?! — განგმირავად შემომაცქერდა.

— მე ცალი ხელი მაქვს! — ვიცრუე შეშინებულმა.

ხელი მოშკიდა. პიჯაკის ცარიელი სახელო შერჩა!.. გავოცდი: დამიკარგავს ცალი ხელი და ვერც შემიტყვია!..

— თქვენ კომუნისტების რეჟიმის დროს არ გიცხოვრიათ? — რატომღაც წყნარად და მშვიდად მკითხა მან.

— როგორ არა, ბატონო!

— ჰოდა, ცალი ხელითაც უნდა შეძლო ტაშის დაკვრა, ორივე ხელი სავალდებულო კი არ არის!

— ღმერთო ჩემო! — გავიფიქრე, — როგორ შეიძლება ცალი ხელით ტაშის დაკვრა?! ეგებ, რაღაც მოვიფიქრო!..

ამ დროს ერთ-ერთმა ორატორმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა, ისეთი, რომ ღრუბლები რომ ყოფილიყო ცაზე, ნამდვილად წვიმა წამოვიდოდა!..

ჩემი სიჩუმე ისევ აღიზიანებდა ყველას, ვინც ჩემს გვერდით იდგა.

— კარგი, ტაშის დაკვრა არ შეგიძლიათ, მაგრამ რატომ არ მღერით?!

— არ ვიცი, ბატონო, სიმღერა!

— ამათ იციან?! — ხელი ხალხისაკენ გაიშვირა.

მართლაც ხმაშეუწყობლად, მაგრამ მონდომებით მღეროდნენ.

— ცუდად არის თქვენი საქმე!.. თქვენ მოგზავნილი ხართ!..

— არა, ბატონო, მე პოლიტიკაში არ ვერევი!..

— მით უარესი, თუ არ ერევით!

ეტყობა, შემატყო შიში და, როგორც კატა თაგვს, ისე მეპყრობოდა!..

— ტელევიზიასთან ვიყავი მიტინგზე და არავის დავუჭერივარ, არც მიმღერია და არც ტაში დამიკრავს!..

— მაშინ ორგზის მტერი ხართ! იცოდეთ, არ შეგრჩებათ! ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მტერია! ამას ხმამაღლა არ ვამბობთ, მაგრამ ვგულისხმობთ!

— მე ქართველი ვარ! — ვიფიქრე, ქართველობა მიშველიდა.

— ქართველი, თორემ რომის პაპზე უწმინდესი კათოლიკე გამოგვეცხადე! — დამიქნია თითი.

შეპასუხება დავაპირე, მაგრამ ენა ჩამივარდა!.. ძალა რომ მოვიკრიბე, რომელიღაც ნაცნობ ენაზე ავლაპარაკდი!.. ჩემს გვერდით მდგომს სახე უბრწყინავდა!.. უცებ ისევ ჩამივარდა ენა!.. პირს ნაპირზე ამოგდებული თევზივით ვაღებდი!.. უკნიდან ვიღაცამ მხარზე დამარტყა ხელი. ვიგრძენი, სულს თითქოს უცხო, მაგრამ ნაცნობი ბგერები ამოჰყვა. გამიკვირდა, — რამდენი ენა მცოდნია და აქამდე რატომ არ ვლაპარაკობდი-მეთქი?! მინდოდა, მადლობა მეთქვა მისთვის, ვინც მხარზე ხელი დამარტყა, შემობრუნება ვცადე, მაგრამ სწორედ ამ დროს გამომეღვიძა!..

...არა, ეს სიზმარი არ ყოფილა! ეს იყო წინათგრძნობა იმ ტრაგიკული ამბებისა, დღესაც რომ ტრიალებს საქართველოში!..

## სკამი

ისე შემძულდა სკამი, კინალამ გამაჰმადიანება ვინატრე: შაჰი (შეიხი, იმამი) სკამზე არ ჯდება — დივანზე ზის ფეხმორთხმული! მაგრამ, რომ გადავხედე ისტორიას, სკამი და დივანი ერთი და იგივეა, როცა ძალაუფლებაზეა ლაპარაკი! კიდევ არის მესამე — ეს ტახტია, მასზე მეფეები სხდებიან! ბოლოს და ბოლოს, მეფეებმა ისწავლეს ჭკუა, რადგანაც ცოტანი დარჩნენ! ახლა მხოლოდ სკამისთვის (პირველი სკამისთვის) არის ბრძოლა და არა — ტახტისთვის! თუ იფიქრა ვინმემ, როგორ გაჩნდა ეს უბედური სკამი?!



პირველად ბაბუას შევეკითხე და,

— მაგ სკამს ჩემი ჯორკო მირჩევნია! — მიპასუხა.

ისლით დახურულ ფიცრულში ვისხედით.

— ბაბუ, ვნახოთ და, დარბაზში დაგიძახეს, ჯორკო ივარგებს?

ბაბუა ჩაფიქრდა. ჩიბუხი გააბოლა.

— შენ ჩემო კარგო, რა გამოცანებს მიწყობ, თქვი პირდაპირ!

ახლა მე დავიბენი, არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა მისთვის, სკამის გამოგონება იყო მთავარი, თუ თანამდებობა?!

— მე როგორც მესმის, იმ სკამზეა ლაპარაკი, ამდენი ქართველის სისხლი რომ დაიღვარა მისთვის! — დამასწრო აზრის გამოთქმა ბაბუაჩემმა.

— ხედავ შენ?! — გავიფიქრე, — ბაბუა პოლიტიკაშიც ერკვევა!

— კურკანტელას ვჭამდით ტყეში და ისე მოვახდინეთ რევოლუცია! — გაჩუმდა, კეფა მოიფხანა.

— მერე?

— რა მერე?! კი ხედავთ ახლა, ძაღლი პატრონს რომ ვერ ცნობს! რომელი დრო ვინატრე, [illegible] რას ვერჩოდით ნიკოლოზას?! კაცს უთხრეს, — ჩამოდი ტახტიდანო! იცი, რომელი ტახტიდან? რომანოვები სამასი წელიწადი რომ ისხდნენ! — კი ბატონოო! — თქვა ნიკოლოზამ და ღმერთის ბოძებული ტახტიდან ჩამობრძანდა. არ შეეძლო ბრძოლა?! არ ჰყავდა მომხრეები, თუ რა?! არ ჰყავდა სხვა მეფეები გვერდით?! ერთი დაეძახა და...., მაგრამ სისხლის დაღვრას მოერიდა. რათა იგი მის სინდისზე არ ყოფილიყო! ახლა ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება: „მრგვალ მაგიდას“ მივეცი მე ხმა არჩევნებში, მაგრამ გული რაცხა კარგს არ მეუბნებოდა!.. „მრგვალი მაგიდისათვის“ კი არა, იმ ერთი სკამისთვის მიმიცია ხმა, საქართველო რომ დააქცია და დალუპა, ძმა ძმას რომ გადაკიდა და მეზობელი — მეზობელს!..

სხვამ რომ მომკლას, გამიხარდება, — სამშობლოსთვის მოვკვდიმეთქი, მაგრამ ახლა ქართველი მკლავს და, სად გავახილოთ მან ან მე თვალი?! რომელი ვიქნებით ღმერთის წინაშე მართალი?! დაიწვას ასეთი სკამი!..



ნახ. ვ. კუციასი

— რატომ გაქვს ბებია, ასეთი დიდი თვალები?!
— დიდი ფასების გამო, ჩემო წითელქუდა!

# გაბროველთა ოხუნჯობანი

### სასამართლოში

მოსამართლე: — თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ ცოლს თავზე დაამტვრიეთ თეფში! ნუთუ, არ ნანობთ?!

გაბროველი: — როგორ არ ვნანობ. ახალთახალი, ძვირფასი თეფში იყო!

### კბილები

— ბაბუა, კბილები გაქვს?

— არა, შვილო!

— მაშინ ეს ლვეზელი დამიჭირე, ცოტა ხანს ვითამაშებ ეზოში ბიჭებთან!



### გაითვალისწინა

გაბროველმა ერთი დღით ორი ბიჭი დაიქირავა ალუბლის საკრეფად. საღამოს ერთ-ერთ მათგანს უფრო ნაკლებად გადაუხადა.

— რატომ მე ასე ცოტა? — იკითხა უკმაყოფილო ბიჭმა.

— იმიტომ, რომ შენი მეგობარი ალუბალს როცა კრეფდა, სულ უსტვენდა, შენ კი გაჩუმებული იყავი!

### გაბროველი ნეკროლოგი

### „დ. კ. მოკვდა!"

### მთელი კვერცხი

გაბროველებს სტუმარი ეწვიათ. საუზმეზე დიასახლისის დედამ სტუმარს კვერცხი მოუხარშა. პატარა შვილიშვილი კვერცხს თვალს არ აშორებდა!..

— რას უყურებ ასე, შვილო? — დაამშვიდა იგი ბებიამ, — სტუმარი ღორი კი არ არის, რომ მთელი კვერცხი შეჭამოს, შენთვისაც დარჩება!



### სარფიანია!

გაბროველის ვაჟიშვილმა გადაწყვიტა, ქირურგი გამხდარიყო.

— ბრიყვი! — შენიშნა მამამ. — კბილის ექიმობა არ გირჩევნია?! ადამიანებს გული ერთი აქვთ, კბილი კი — ოცდათორმეტი!

### მეზობლები

— მეზობელო, თქვენმა ძაღლმა კიდევ შემისანსლა ქათამი!

— კარგია, დღეს არაფერს ვაჭმევ!

### ბარათი

— შენ წარმოიდგინე, თოთიას ბარათი დავუტოვე, — სადილად გეწვევი-მეთქი და, რომ მიველი, შინ არ დამხვდა!..

— მაშასადამე, უნახავს შენი ბარათი!

### ვერ გაიგო!..

— მამაჩემი გაგიჟდა და ეს დუქანი მე დამრჩა!

— მაშ, ვალს გადამიხდი?

— შენ ვერ გამიგე: მე კი არ გავგიჟებულვარ, მამაჩემი გაგიჟდა! — ხაზი გაუსვა გაბროველმა.

### პერსპექტივა

გაბროველს სამუშაო შესთავაზეს. მან იკითხა, თუ რამდენს გადაუხდიდნენ.

— ჯერ — სამოცდაათ ლევს, შემდეგ — ასს!

— კეთილი, — მიუგო მან, — აუცილებლად მოვალ... შემდეგ!

### ხალიჩა

— მამა, ხალიჩას რომ ვბერტყავდი, ერთი სტოტინკი ვიპოვე. რა ვქნა?

— განაგრძე ბერტყვა!

### ლოკოკინა

ოფიციანტი: — კლიენტი ჩივის, რომ თეფშში ლოკოკინა იპოვა!

დირექტორი: — კარგია! ეგეც უანგარიშე!

### ოჯახური საუბარი

— პენჩევისთვის მკაცრი დიეტა დაუნიშნავთ!

— მოვიწვიოთ ვახშამზე!

### გულუხვი

გაბროვოში ერთი გლეხი ჩავიდა. ამ დროს ატყდა ჭექა-ქუხილი და მან თავი ვიღაც დედაბრის სახლს შეაფარა.

როცა მზემ გამოანათა, დედაბერი ბაღში გამოვიდა და ნაქარი ვაშლის მოგროვება დაიწყო.

— მიირთვით! — შესთავაზა სტუმარს. — წელს გოჭი არა გვყავს!

### საკუთარი წარმოებისა

გაბროველი სტუმარს კარტოფილით უმასპინძლდებოდა.

— მიირთვით, ჩემი მოყვანილია, ნუ გრცხვენიათ!

— კი მაგრამ, თქვენ ხომ ბოსტანი არა გაქვთ?!

— სასაფლაოზე ადგილი ვიყიდე და, რადგან ჯერ არ მჭირდება, კარტოფილს ვთესავ ხოლმე!



### სტიმული

ფეხბურთის მწვრთნელი — მეკარეს: ბადეს გაუფრთხილდი, არავის დააგლეჯინო, თორემ ხელფასიდან დაგიქვითავ!

### სკოლაში

მასწავლებელი ბავშვებს უხსნის ლითონთა თვისებებს:

— ბავშვებო! აი, ახლა ამ ოქროს მონეტას ჩავაგდებ მჟავაში! როგორ ფიქრობთ, გაფუჭდება?

— არა! — მიუგეს ერთხმად.

— რატომ?!

— ეგ რომ ფუჭდებოდეს, არაფრის გულისათვის მჟავაში არ ჩააგდებდით!

### მოიცადე!

— მამა, მომეცი ერთი ლევი, მთვარეს უნდა შევხედო ტელესკოპით!

— ცოტა მოიცადე: ორი კვირის შემდეგ სავსე მთვარე იქნება და მაგ ფულით უფრო მეტს დაინახავ!

### დაჯერებული

ორი გაბროველი წაკინკლავდა. საქმე დუელამდე მივიდა. ნაცნობებს რომ სასაცილოდ არ აეგდოთ, სხვაგან დანიშნეს დუელი. წავიდნენ სადგურში. ერთმა იყიდა ორი ბილეთი — იქით და აქეთ, მეორემ მხოლოდ საიქითო ბილეთი შეიძინა.

— გასაგებია! შენ ცოცხლად დაბრუნების იმედი აღარა გაქვს! — დაასკვნა პირველმა, ორი ბილეთი რომ ჰქონდა ნაყიდი.

— პირიქით! მე მენი ბილეთით ვისარგებლებ!

### ავადმყოფი

გაბროველი ქალი ქუჩაში ნაცნობ ექიმს შეხვდა და მუქთად რეცეპტის შოვნა განიზრახა:

— ექიმო, რაღაც შეუძლოდ ვგრძნობ თავს, მადა არა მაქვს, თავბრუ მესხმის. ჰქენი სიკეთე, წამოჯღაბნე რეცეპტი!

— სიამოვნებით! — მიუგო ექიმმა, — ოღონდ ჯერ გაიხადე, უნდა გაგსინჯო!

ექიმიც გაბროველი იყო.

### მსგავსება

— იცი? — უთხრა ერთმა გაბროველმა მეორეს, — როცა შენ დაგინახავ, თოთია მახსენდება ხოლმე!

— რატომ?

— იმასაც ჩემი ხუთი ლევი მართებს!

### „მოატყუა!.."

ორი გაბროველი მისეირნობდა ქუჩაში.

— ხედავ მაგ თაღლითს? — დაანახა ერთმა მეორეს ცნობილი ბობოლა. — მაგან თვალსა და ხელს შუა გამომაცალა რამდენიმე მილიონი ლევი!..

— როგორ შეძლო მაგას შენი მოტყუება, ეს თანხა ხომ შენ სიზმარშიც არ გინახავს?!

— როგორ და უარი მითხრა ქალიშვილის მოთხოვნაზე!..



### ბაზარში

— დეიდა, ეს რაღაც ძველ კვერცხებსა ჰგავს, შიგ წიწილები სხედან!..

— მგონი მართლა სხედან! უფასოდ წაიღე!

### გაგულუხვდა!..

— ჩემო ქმარო, ამ ძველ პალტოზე უკვე აღარც ერთი ღილი არ შემრჩა, მრცხვენია ქუჩაში გამოსვლა!

— არა გიშავს რა, ხვალვე გიყიდი!

— პალტოს?!..

— არა, ღილებს!

### სასტუმროში

გაბროველი ერთ იაფფასიან სასტუმროში გაჩერდა. ღამე ბაღლინჯოები დაესივნენ. იგი ადგა, აანთო შუქი, გაალო კარები, შემდეგ მაგრად მოიჯახუნა და დაწვა.

გვერდით მწოლი მეზობელი გაოცდა. გაბროველმა უთხრა:

— ბაღლინჯოები მოვატყუე, ეგონებათ, რომ წავედი!

### ძუნწი

გაბროველმა კარების შეკეთება დაიწყო და შვილი გაგზავნა მეზობელთან ხელჩროს სათხოვნელად. ბავშვი ხელცარიელი დაბრუნდა: მეზობელმა დაუმალა ხელჩრო, — არა მაქვსო, — უთხრა.

— რა ძუნწია! — აღშფოთდა მამა, — ჩადი სარდაფში და ჩვენი ხელჩრო ამოიტანე!

### აბანოში

— რა ღირს აბაზანის ბილეთი?

— ორი ლევი!

— აი, ერთი ლევი და აბაზანა ნახევრად ამივსეთ!

თარგმნა ჯემალ ინჯიამ



ნახ. ჯ. ლოლუასი თემა შ. სიხარულიძისა

— ბიჭო, პისტოლეტი კი არა, ავტომატია! „კალაშნიკოვი" „მაკაროვისაგან" ველარ უნდა გაარჩიო?!

# „იყო შაშვი  მგალობელი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო ვ ე ლ ა

— იყო შაშვი მგალობელი... — წაიღიღინა ერთმა და ჩაიცინა, — მეტი არ ვიცი.

— შაშვი ჭახჭახებს! — შენიშნა დიტომ.

უცნაური კაცი იყო დიტო, მეგრული გვარი ჰქონდა. ნაცნობები ამბობდნენ, სამეგრელოში ერთ დროს ბალტიისპირელების დასახლება იყო და მათი შთამომავალი არისო.

ბალტიისპირელობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დიტოს ქართველობისა არაფერი ეტყობოდა. ერთი მაღალი, გამხდარი, ალბინოსი, ცხოვრებით შეშინებული ადამიანი გახლდათ. ხმამაღლა მხოლოდ ისეთ აზრს გამოთქვამდა, არავის რომ ვნებს და არც რგებს, აი, იმგვარს, ახლა რომ ამოსცდა პირიდან: შაშვის გალობა ვის გაუგია, შაშვი ჭახჭახებსო! ეს ისე თქვა — სიტყვამ მოიტანა, თორემ შაშვისთვის ვის ეცალა?! იტყოდა რაიმეს, უმნიშვნელოს. ან თავს დაუქნევდნენ, ან უხმოდ ჩაიცინებდნენ. მასთან მოკამათე კაცი არ უნახავთ, ერთი სიტყვით, არც მტრები ჰყავდა და არც ნაღდი მოკეთეები.

მხოლოდ ერთ კაცს ეცოდებოდა დიტო, ეს დუტუ გახლდათ — მისი უფროსი. ახლაც თავი გამოიდო: ჭახჭახი შაშვის გალობააო! დიტო დაიბნა და, რა თქმა უნდა, დადუმდა. უეცრად დუტუმ გამოაცხადა — მე და დიტოს გადაუდებელი საქმე გვაქვს, ბოდიშს გიხდით, მაგრამ უნდა დაგტოვოთო! — და წამოდგა. დიტო შეცბა და ისიც წამოდგა. სხვებსაც გაუკვირდათ — რა საქმე უნდა ჰქონოდათ დიტოსთან, მას ხომ ისე, ადგილის შესაფერისად პატიჟებდნენ ყველანი. გაოცებანარევი მზერა გააყოლეს ამ ორ სხვადასხვა პოლუსზე მჯდარ კაცს და ისევ ყავის ნალექში გამონათებულ გზებს მიუბრუნდნენ. არა, ყავას იმიტომ კი არ სვამდნენ... უბრალოდ, ღვინისა და მწვადების ფული არ ჰქონდათ.

— მაშ, შაშვი არ გალობს, არა?! — გამომწვევად ჰკითხა დუტუმ.

— გალობს, აბა რა! — ფიცხლად დაეთანხმა დიტო.

დუტუმ გაუშალა და ლეწა.

— ყავით არ თვრებიან! — თითქოს სხვათა შორის შენიშნა დიტომ.

— სწორი ხარ, არ თვრებიან..

— ?!

— გამარტყი, შემეპასუხე, შემაგინე, რა! კაცი არა ხარ?! თქვი, რასაც ფიქრობ, იყვირე! რამ ჩაგიგდო ენა, მუმია ხარ?! თქვი რამე — სიმართლე, ტყუილი, რამე! თეთრზე თქვი, შავია-თქო, ოღონდ თქვი! ხომ ხედავ, კაცად არავინ გაგდებს?! ასე როგორ დაგაკნინა ცხოვრებამ?!

— ცხოვრება ომია!

— უუჰ! რომელიმე მხარეს დადექი, გგონია, ასე შუა-შუა სიარული გარგებს?! ომი თუა, ამ ომში შენცა ხარ და ხანდახან სანგრიდან თავი უნდა ამოჰყო! ასე როგორ არსებობ?!, ამება, ფუჰ!

— კარგი, ვიტყვი!

— რას?! — უცებ ვერ მიხვდა დუტუ.

— ყველაფერს.

— ჰოო, აბა, შენ იცი! — დუტუ ნაჩქარევად დაემშვიდობა ლოყაამწვარ თანამგზავრს.

მეორე დღეს და მერეც დუტუ თვალებს აღარ უჯერებდა. სამსახურში, ქუჩაში, ყველგან — დიტო სიტყვას არავის არჩენდა. ერთი-ორჯერ სცემეს კიდეც. დუტუ დაუფარავი კმაყოფილებით უმზერდა მის ჩალურჯებულ თვალს, შეშუპებულ ლოყას, რადგან ამ ფიზიკური გვემის ნიშნებს მიღმა გრძნობდა თავისუფალი, ბორკილაყრილი სულის დაბადებას და თავი ღმერთად მიაჩნდა.

ერთ ორშაბათს დუტუს ახალგაზრდა კორესპონდენტი ესტუმრა. დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ცალკეულ მუშაკებთან გასაუბრებამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა კორესპონდენტზე და ალბათ დღესხვალ კეთილგანწყობილი წერილი იხილავდა მზეს, რომ მოწმენდილ ცაზე უეცრად დიტო არ გამოჩენილიყო და კეთილი განზრახვა ჩანასახშივე არ მოეშთო...

მართლის მთქმელი ცოტათი დააწინაურეს, დუტუ მოხსნეს!..

„იყო შაშვი მგალობელი“... იყო კი?!

ბიბა თუთბერიძე




რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: — ამაზე მეტი პატივისცემა რაღა გინდათ?! თქვენს ნაწერებს არ ვხევ, აგერ ვინახავ და, თუ გნებავთ, დაგიბრუნებთ კიდეც!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი კალენდარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გზა ტრიბუნიდან საყასბომდე

აქციას უნდა ჰქონდეს აქცენტი
ადამიანთა და არა — ვირის,
თორემ ტრიბუნას უტევს აგენტი
და არარსებულ მამულზე ყვირის!..

ვხედავ: სამშობლო დაჩეხილია,
ტლაპოში ლაღად წევს ლუარსაბი!..
ყინჩად ამოგლეჯს „ციტატს“ ილიას
და სისხლიან ხელს იწმენდს ყასაბი!..

## ბ ე რ ი კ ა ო ბ ა
(ვირის ექსპროპრიაცია)

მოდიოდა გზაზე მწირი,
მწირს ეგონა თავი გმირი, —
თუმცა გახლდათ სიტყვაძვირი,
ყროყინებდა მწირის ვირი!..
ბაზარში ბრბო დადიოდა,
ყაყანებდა, არ სტკიოდა
თავი!.. ხელში დროშა ჰქონდა:
„ვაშა-ვაშას“ გაჰკიოდა!..
უცებ ნახეს: — ბიჭოს, ვირი!..
რაღად გვინდა ვიღაც მწირი?!
ჩამოაგდეს, შემდეგ კირით
მოუთხუპნეს მწირს ცხვირ-პირი!..
მხნედ იძახდნენ: — ჰაი, გიდი!..
არ გვჭირდება ბეწვის ხიდი!..



ამ ვირს უნდა „ინდი-მინდის“
ლილინი და ხახრით: მიდი!..
ჰოდა, მიდით!! — არ დაგიცდეთ
ვირზე ფეხი, არ წაიქცეთ, —
არ გაგისკდეთ გოგრა — მწიფე,
თორემ თქვენი „ვაის“ ხვნეშით.
მოვა სიბრალულის თქეში,
თვალცრემლიანს მნახავენ და
თავს მიკრავენ სამოთხეში,
რაც დედოფალს ჯავრით შეშლის!..
— აღარ მინდა!.. არ იშლით?!
იმ უფლისწულს სათათრეში
მოაკლდება ჰაშიში,
რაიც ფრიად საშიშია,
მისი აღმზრდელისთვის, რადგან
გაბრაზდება, სასახლეში
არ მიიღებს ხელმწიფე!..

## $2 \times 2 = ?$

ავკაცთა გადანაცვლებით
არ შეიცვლება ჯამი,
ვერ გამოიბამს გოგრას
აკაცია თუ წყავი!

## ე ვ რ ი კ ა !

როგორც იქნა! — თურმე ფუნა
არ ყოფილა სახრავი
და კანონით დაიწუნეს,
გახდა დასაძრახავი
მისი ჭამა!.. აწ რას შველის:
— ოხ, რა ვი... და ახ, რა ვი!..

## დადარაჯებულ თანამედროვეს — თანაც — მედროვეს

ჩემი ზღაპარი უფრო წმინდაა,
ნამუსის ხიდიც უფრო გრძელია,
ვინემ თქვენ ფიქრობთ!..
არც მსურს, ვიდავოთ:
დრო ერთადერთი მბრძანებელია!..

## ანტიმოდერნისტული განწყობილების ლექსი

როდესაც იცი:
საწუთროში ჟამის მტვერია —
მარადი... ხედავ:
ჩაფლული ხარ ბინძურ ყანაში —
სარეველაში, და...
ახალი არაფერია!..
უკვე უფლება გაქვს, —
თვით სიკვდილს გაეთამაშო!..

## ნეგატიურ პიურეზე უარის შემდეგ
ჯონნი ბე ისო ტამმს

სადღაც ფერმერმა მინდორი მოხნა,
აქ — ხარობს ქსენოფობია!..
ჰა, გპირდებიან: ძალათი — ოყნას,
ჩიტი რომ იყო — სჯობია!..
ეჰ, ილუზია!.. მოგივლის ბნედა,
როცა ბობოქრობს: დავგმოთ!..
ხედავ? — აბანოს წითელ კარებთან
შარდავს ვიიონის მარგო!..

## „ცენტრალური პრესა“

ჰა, როგორც იქნა, —
„გაშლილია სოცშეჯიბრება“ —
საქართველოს და ქართველების
ლანძღვა-გინების
უწმინდურ დროშით:
— იყროყინონ, დაე, ვირებმა,
ს ი ბ ი ნ ძ უ რ ი დ ა ნ
მყრალი ჰავა მოედინება!..

## მაშინ ოთხი წლის ვიყავი და არ მენახა თქვენი მოსკოვი!..

ისტორია? — ამ ძელსკამთან
დაუღგამენ ძეგლს ლერმონტოვს,
მაგრამ ახლა პასტერნაკთან
სიყვარული — ამეთვისტო
ზის!.. შორიდან ტყავის ტყავში
ტიპი — ვინმე — პატრიოტობს:
— ცოტაც, „სიმამაცის ორდენს“
დაგკიდებენ, შე ჩეკისტო!..

## ვამბობ: მავანო... და მკითხველი ცხვირს აცემინებს

მინდა, შევარქვა „დიდკაცს“
ზუსტად იმგვარი რამე,
რაც ეკადრება, რადგან
ისე უბადრუკია,
როგორც სიზმარში:
ნეხვის ხოჭო — პილატეს ღამე
და ელოდება ნაღდად —
კ უ კ ი — — — ა —
ახვარი ძაღლის!..
იმას იმკის: აპჩი!.. ხეირი!.. —
ბოზების სუფრა:
სეირნობა ოფშქვითის ვირით;
რაც აქ დათესა,
იმას იმკის: აპჩი!.. ხეირით!.. —
მობრუნებამდე არ გეტკინოთ,
მკითხველო, ცხვირი!..

## ვანდალური სამზადისი

არ შეგვიძლია ატანა
სოციალისტურ ბურუსის,
როს ნიჩბებს ლესენ სატანა,
ბელზებელი და ბ უ რ უ ს ი!..

## ტრილოგიის სამზადისი

ერთი ტომი დავამთავრე,
ორი დამრჩა დასაწერი!..
ვწვალობ, სანამ შემიფარებს
დავიწყების მონასტერი!..

## ბედის ირონია

მათ ჰქონდათ ორთოგრაფია,
შენ მხოლოდ — ბ ი ო გ რ ა ფ ი ა!..
შვიდტომეულის ავტორიც
ხვოსტოვი იყო — გ რ ა ფ ი ა!..



## თევზის ლექსი

„სამოთხეში“ პირს ქალალდი,
ჯოჯოხეთში — მელანია!
მავანს აწყობს უფრო ნაღდი, —
როცა ვსდუმვართ ყველანია!..

## კლასიკოსის „კლასიკური" ბიოგრაფია

გიას

მწერალი, თურმე, მუშაობს
„ლიტერატურის ყანაში",
თავზე ახურავს ბოხოხს,
ფეხებს უმშვენებს გამაში!..
რომ გეზარება კითხვა და
წიგნს გირჩევნია თამაში,
სწავლაში საქმე ცუდად გაქვს,
„ხუთიანი" კი — ჭამაში!..




* * *

იყო ბეჯითი, ვით პიონერი;
უხვად მიირთვა ქერი და თივა!..
პერსონალური პენსიონერის
ხოლი მორს სტკივა!..

## ხვალინდელი ქათმის მოლოდინში

ბლეზ სანდრარს ვთარგმნი
და პურთან ნიორს
მივირთმევ, როგორც
კაპიტალისტი!..
ჯერ, რა თქმა უნდა,
იმედის ფჭორს
ვერ ვხედავ,
მაინც ვცხოვრობ
ხვალისთვის!..

## წუთისოფელი რა არის?!

ვფიქრობ: ალბათ, არც გინდოდა,
მაგრამ, რაღაც წამოგცდა...
და ქირქილით ჩააბარე
წუთისოფლის გამოცდა!..

## პარალელური „წისქვილის" ლექსი

თქვენ — ვარდებით გამილაღდით,
მე — ძონძების ჯილდო-წილით,
მ თ ა ვ. მკბენარით მივლოღავდი —
წიხლით ნეკნებჩალეწილი!..
ენა გიგავთ დიბა-ფარჩას,
ხან გრუხუნებთ,
„პატრონს" ტაშიც
გამკობთ!.. გწყინთ,
რომ სხვენზე დაგრჩათ
ბერდენკა და პატრონტაში!..

## სოცრეალიზმის რეკვიემი ანუ კენტავრის გახსენება

ჩუ! — ვეება გზის მორში გაჩრილა,
იფ! — აკაციის სინაზე — ხოლი:
აჰ! — მგოსან-სოსან-სხივოსანს ჩრდილავს
ტრიბუნი ლიპით — თუნუქის ღოლით!..
ურტყამდა ჩხირებს, დროდადრო — ჯოხებს:
ჩიტს თუ ოცნებას ადინა ბოლი!..
ახლა ისვენებს, ყამ-ყამად ოხრავს,
ხედავთ? — ჩემს ფეხებს ირეკლავს ბროლი!..

## გზა სარდაფიდან სხვენამდე ანუ ყირამალა

ძროხას წველის პოეტი
და მწველავი ლექსს წერს:
რა თქმა უნდა, — დროებით
ვიმყოფებით სხვენზე!..

მანდარინს კრეფს პოეტი,
გლეხი გვიწერს მოთხრობას:
რა თქმა უნდა, — დროებით
ხდება „მცირე" თხრობა!..

ტაქსისტი სახლს აშენებს,
მშენებელი ქარგავს,
აგრონომს კი ამშვენებს
მსხლის თესვა და დარგვა —
სიმინდისა... დროებით —
არ გაუდის წყალი —
საქმეს... განმარტოებით
თვლემს აქლემის ნალი!..

ძროხას წველის პოეტი
და მწველავი ლექსს წერს:
რა თქმა უნდა, — დროებით,
ვიმყოფებით სხვენზე!..

## 9 აპრილის დილა

მოთქვამს მტკვარიც —
მათთვის „კურა",
„უფროსი ძმა" — დათვი მურა
არაყს სომს და სისხლში ცურავს
ტანკი — ს ო ც ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა!..

## ტაშომანიის მიზეზი, № 1

ამბობენ, თურმე იმ „ფეხბედნიერს"
შაბათობაზე მოჰქონდა შაში —
ჩვენთვის!.. იმიტომ გვესმის ყამიერ
იმპოტენტების „მქუხარე ტაში"!..

## უჰონორარო ექსპრომტი

აზრი ნათელი არუსთანს
ანათებს, ხან ეურჩება!..
ვფიქრობ: წაიყვანს ანუსთან,
ან მოკავშირე ჩუქჩებთან!..

## 16 წლის შემდეგ...

„გენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას, გენერალი მილიციის..."

შოთა ჩანტლაძე

შენ გენერალი დაგპირდა,
მე — მაიორი მპირდება!..
ოხერი დაფნის გვირგვინი
ძროხასაც აღარ სჭირდება!..




## მებრუვის ეპიტაფია

თავთ ღვინის ქუდი მეხურა,
ტანთ მეცვა არყის ჩოხა!..
ახლა აქ ვწევარ მეფურად
და... ვაბალახებ ძროხას!..

## ალებ-მიცემობის დღე

(ბ ა ზ რ ო ბ ა)

მიაბიჯებს პროსპექტზე
პროლეტარი რწყილი;
ამხ. რწყილს „ჩამოუტანია"
გასაყიდად ფქვილი!..
ბაზრის კართან რწყილს აჩერებს
ტილის შვილიშვილი:
— შენ მე!.. მე შენ „საბუთს" მოგცემ,
რახან მელის შვილი
სახლში!.. უნდა მივუტანო
დღეს ახალი ხილი!..
უნდა მომცე — იმ „დეკრეტით"
მეც მეკუთვნის წილი!..

## პლაგიატორი რომ არ დაგიძახონ!..

საპურისმა კოლეგებმა
რომ არ მოგვდონ რამე შარი, —
წელს საჩქაროდ უნდა ვთარგმნოთ
გილვიკი და რენე შარი!..

## ავგურების აგურები

მარჯვედ თხზავენ აგურ-ტომებს,
ეხერხებათ მათ აბრუნდიც:
— რა დარჩებათ ერებს, ტომებს?! —
ძაღლის აპრეხილი კუდი!..

ილუსტრაციები ჯემალ ლოლუასი



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბებია შვილიშვილს ეკითხება: — ამიხსენი, რა არის რადიო?

შვილიშვილი: — წარმოიდგინე, რომ გყავს იმ სიგრძე ძაღლი, ნიუ-იორკიდან ჩიკაგოს სწვდებოდეს და კუდზე რომ ფეხი დაადგა ნიუ-იორკში, იმან ჩიკაგოში დაიყეფოს. ეს არის ტელეგრაფი. რადიოც ზუსტად იგივეა, ოღონდ უძაღლოდ!

* * *

— რამდენ სიგარას ეწევით დღეში?

— ათიოდეს!

— თითო რა გიჯდებათ?

— ოცი ცენტი!

— ეგ ხომ დღეში ორ დოლარს უდრის! რამდენი ხანია ეწევით?

— ოცდაათი წელია!

— ყოველდღე ორი დოლარი ოცდაათი წლის განმავლობაში! თუ გაქვთ წარმოდგენილი, რა დიდი თანხა გროვდება?!

— როგორ არა!

— ხედავთ, აგერ, იქ, კუთხეში, დაწესებულების ლამაზ შენობას?

— კი,

— ჰოდა, რომ არ გეწიათ საერთოდ, ახლა შეგეძლებოდათ მაგ დიდებული ნაგებობის ყიდვა!

— თქვენ ეწევით?

— არა, რას ბრძანებთ! არასოდეს პირში არ ჩამიდვია!

— ეგ შენობა თქვენია?

— არა!

— ჰოდა, ჩემი გახლავთ!

* * *

კაცი სახტად დარჩა, როდესაც ქუჩაში ლამაზი ქალი მიესალმა და, — საღამო მშვიდობისა! — უთხრა. ვერაფრით გაიხსენა, სად ენახა ეს ტურფა ქმნილება. ქალი, როგორც ჩანდა, მიხვდა თავის შეცდომას, ბოდიში მოუხადა კაცს და უთხრა:

— გთხოვთ მაპატიოთ! პირველად რომ დაგინახეთ, ჩემი ორი ბავშვის მამა მეგონეთ!

ქალმა გზა განაგრძო. კაცს მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდა!., რას წარმოიდგენდა, რომ ეს ქალი იმ სკოლის მასწავლებელი იყო, სადაც მისი ორი შვილი სწავლობდა!..

* * *

— წამო, ზოოპარკში წავიდეთ!

— რა მინდა ზოოპარკში?!, აგერ, ეს ჩემი უფროსი გოგო ერთთავად თუთიყუშივით ყბედობს, პატარა კიდევ კენგურუსავით დახტის, ბიჭი ლომივით ბრდღვინავს, ცოლი მტაცებელივით მიყურებს, სიდედრი, — გინდა თუ არა, გორილას გავხარო! — მეუბნება, მზარეულია და სულ დათვივით ბუზღუნებს და ამათ პატრონს რა მეზოოპარკება, თუ ძმა ხარ?!

* * *

უიღბლობისაგან ცხოვრებაზე გულაყრილმა კაცმა თავის მოკვლა გადაწყვიტა. ხელი რომ არ მოსცარვოდა, იყიდა საწამლავი, თოკი, თოფი, ბენზინი და ასანთი. ბენზინი ტანსაცმელზე გადაისხა, ხეზე აძვრა, გავიდა ტოტზე. ტბას რომ გადაჰყურებდა, საწამლავი დალია. ტანსაცმელზე ცეცხლი წაიკიდა, ტოტზე ჩამოეკიდა და თოფი შუბლში დაიხალა!., ბედმა აქაც უმუხთლა: ტყვია მიზანს ასცდა და თოკს მოხვდა, თოკი გაწყდა და კაცი წყალში ჩავარდა. წყალმა ტანზე მოდებული ცეცხლი ჩაუქრო და თვით მასაც იმდენი აყლაპა, რომ საწამლავმა ძალა დაკარგა. ამდენი მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა კაცმა, — არც თუ ისე უიღბლო ვყოფილვარო, — გაიფიქრა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნაპირისკენ მოუსვა ბატერფლაის სტილით.

* * *

ერთმა ქალმა, ქმართან გაყრა რომ უნდოდა, ვერ იქნა და ვერ ჩამოაყალიბა განცხადებაში გაყრის მიზეზი: არ იცოდა, როგორ დაეწერა: „ჩემს ქმარს ფეხბურთი უფრო უყვარს, ვიდრე მე“, თუ „ჩემს ქმარს ჩემზე მეტად უყვარს ფეხბურთი“.

* * *

მასწავლებელი მოწაფეს ეკითხება:

— რა ხდება იგავ-არაკში?

— იგავ-არაკში ცხოველები ერთმანეთს ესაუბრებიან. მაგალითად, მგელი და კრავი ერთმანეთს ელაპარაკებიან ისე, როგორც მე და თქვენ, სერ!

* * *

ერთი მედუქნე ძალზე ავენა იყო, კაცს ისე არ გაუშვებდა, მწარე სიტყვა არ ეთქვა მისთვის.

ერთ დღეს მის დუქანში ნაცნობი შევიდა იღლიაში ამოჩრილი იხვითურთ. მედუქნემ დაინახა თუ არა, მაშინვე მიაძახა:

— ნეტავ, მაგ ღორთან რა საერთო გაქვს?!

— შენ ხომ არ გაგიჟებულხარ?! — გაოცდა ნაცნობი, — ვერ ხედავ?! ეს ღორი კი არა, იხვია!

— მე შენ არ გელაპარაკები! — მიუგო მედუქნემ, — მე მაგ იხვს მივმართე!

* * *

მშიერ-მწყურვალმა მგზავრმა სასტუმროს კარზე დააკაკუნა:

სასტუმროს „წმინდა გიორგი და ურჩხული“ ერქვა. კარი მსუქანმა დედაკაცმა გააღო.

— შეიძლება თქვენთან ცოტა წავიხემსო? — მორიდებით ჰკითხა მგზავრმა.

— არ შეიძლება! — უყვირა ქალმა და ცხვირწინ მიუჯახუნა კარი.

ცოტა ხნის შემდეგ მგზავრმა ისევ დააკაკუნა. კარი ისევ იმ ქალმა გააღო.

— თუ შეიძლება, თქვენთან ცოტას წავიხემსებ! — სთხოვა მგზავრმა.

— მოშორდი აქაურობას! — დაუღრიალა ქალმა, — ფეხი აღარ მოადგა აქ!

რამდენიმე წუთის შემდეგ მგზავრმა ისევ დააკაკუნა. კარი ქალმა გააღო.

— ბოდიში! — თქვა მგზავრმა, — თუ შეიძლება, ახლა წმინდა გიორგისთან დამალაპარაკეთ!

* * *

ქალაქის მკვიდრი სტუმრად ეწვია ფერმერს და სამოვრად გასულ რემაში ერთი დიდებული ულაყი რომ დაინახა, გადაწყვიტა მისი შეძენა. ფერმერი ჯერ უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს დათმო და ბლომად ფულიც ჩაიჯიბა.

ქალაქელი წამსვე თავის მერანს მოახტა და, — აჩუ! — შეუძახა, მაგრამ ცხენი არც კი შეტოკებულა. ფერმერმა აუხსნა: — ეგ განსაკუთრებული ჯიშის ცხენი გახლავთ, სერ! ადგილიდან რომ დაიძრას, უნდა წარმოთქვათ — „დიდება შენდა, ღმერთო!“ — და თუ გაჩერება გინდათ, უნდა უთხრათ — „ამინ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის ახალმა პატრონმა ყველაფერი დაიმახსოვრა და, წარმოთქვა თუ არა, — დიდება შენდა, ღმერთო! — ცხენი უცბად ადგილიდან მოსწყდა და საშინელი სისწრაფით გაქენდა. მალე მათ წინ უშველებელი კლდე აღიმართა და ვეება ნაპრალმაც დააღო პირი!.. მხედარმა მოასწრო ეთქვა „ამინ!" და ცხენი მაშინვე ადგილზე გაქვავდა, ზედ უფსკრულის პირას!..

მხედარმა უძირო ჭურღმულს რომ ჩახედა, ცივმა ოფლმა დაასხა, მერე შვებით ამოისუნთქა, თვალები ზეცისკენ აღაპყრო და უნებურად აღმოხდა: „დიდება შენდა ღმერთო!"

* * *

**კოვბოი** პრერიებში მიაგელვებდა ცხენს. უცებ გზისპირა ჯაგნარიდან კურდღელი გამოხტა და დაიძახა:

— ბიჭოს!

— ბიჭოს! — სახტად დარჩა კოვბოი. — კურდღელს თუ ლაპარაკი შეეძლო, ეგ არ ვიცოდი!

ცხენმა თავი მოაბრუნა მხედრისკენ და თქვა:

— რას არ გაიგონებ კაცი, არა?

* * *

**ლუდხანა** ტეხასში კედელზე წარწერა — „მუშტრებს უმორჩილესად გთხოვთ, ნუ ესვრით პიანინოზე დამკვრელს — უკრავს, როგორც შეუძლია!"

ერთი კოვბოი შედის და ლუდხანის პატრონს ეკითხება:

— რა იქნა დამკვრელი?

— გაასაღეს!..

— რატომ?!

— ერთი კანზასელი ტიპი შემოვიდა, წერა-კითხვა არ იცოდა!..

* * *

**განცხადება** გაზეთში: „იყიდეთ ბულდოგი! ორი წლისაა, ჭამს ყველაფერს, განსაკუთრებით უყვარს ბავშვები!"

* * *

**ორი** პატარა ბიჭი ერთმანეთს ეტრაბახება:

— მამაჩემს შეუძლია მამაშენის გალახვა!

— დიდი რამე! ეგ დედაჩემსაც შეუძლია!

* * *

**წარწერა** საფლავის ქვაზე: „ხედავთ?!"

ინგლისურიდან თარგმნა
**გიორგი ჯაბაშვილმა**

## ... ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი!..

„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო". —
მხოლოდ იცოდე, თუ მოხვალ, ვერ გაჭმევ თაფლის კვერსაო,
ვერც შოკოლადით, ნამცხვარით ჩაგიტკბარუნებ ყელსაო,
ვერ დაგახვედრებ კამფეტზე დახატულ დათვის ბელსაო,
„ყარა-ყუმჩა" და „მამალოს" ვერსად გიშოვი დღესაო,
„წითელქუდა" და „მერცხალი" დახლზე აღარა დევსაო. —
მთლიანად შემოელია ამ ჩვენს „თბილკონდიტერსაო"!..
მაგრამ თუ მაინც წამოხვალ, გზას დაადგები გრძელსაო,
შაქრის ტალონი არ დაგრჩეს, გამოაყოლე ხელსაო,
კაცნი ვართ, იქნებ შემთხვევით შაქარი გამოჩნდესაო!..
„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი", ჯერ ნუ ჩამოხვალ ჩვენსაო!

ვალერიან მამუკელაშვილი




ნახ. ჯ. ლოლუასი

თემა გ. ინასარიძისა

— ეს დამლაგებელი ნამდვილად მოსახსნელია!
— რატომ?!
— უოველდღე იფიცება, კაბინეტიდან ნაგავი გამაქვსო, მაგრამ დირექტორი მაინც კაბინეტში ზის!..

# შეიარაღებული, ანუ „სასწრაფო!“



### იუმორესკა

**სადარბაზოდან** ქ ა ლ ი ს კივილი შემომესმა. ორი წუთით ადრე შევამჩნიე, რომ იქ ქალი და კაცი შევიდნენ!.. კივილი გამეორდა .. ეჭვი არ იყო, რომ სადარბაზოში უბედურება ტრიალებდა!.. ძარცვა, გაუპატიურება, მკვლელობა!.. — კალეიდოსკოპივით დამიტრიალდა თავში და ბევრი არ დამიყოვნებია. ვეცი სასიგნალო ჯიხურს, რომელიც ბედზე სულ რაღაც ათ ნაბიჯზე იყო. წამში რაიონის ოპერატიული ნაწილები ფეხზე დავაყენე, მე კი თავდაუზოგველად სადარბაზოსკენ გავიქეცი. სახლის რამდენიმე ფანჯარაში სინათლე აინთო. მეორე სართულის ერთ-ერთი ფანჯარა გაიღო და იქიდან ხრინწიანი ხმით მამაკაცის ყვირილი შოისმა: — მილიცია, მილიცია!.. მოკლეს!.. გვიშველეთ!.. მილიცია!.,

ხმაზე ვიცანი პენსიონერი მოხუცი.

როდესაც მის ფანჯარასთან გავირბინე, შეიძლება ვერც კი მიცნო, მაგრამ ფორმიანი და იარაღმომარჯვებული რომ ვიყავი, ეტყობა, გული მიეცა და ყვირილს უმატა. ჩემს დანახვაზე ხმაც კი დაუბოხდა და ისეთი ძალით ყვიროდა, რომ გამაბრაზა, — ასეთი ყვირილით შეიძლება დამნაშავე დააფრთხოს და მისი დაკავება გართულდეს-მეთქი!

— რას უყურებ?! ხომ ხედავ, მოკლეს!.. ჩქარა!.. — ჩამესმა ყურში მოხუცის უკანასკნელი სიტყვები და შევვარდი სადარბაზოში. ჯიხურიდან სადარბაზომდე ნახევარი წუთიც კი არ დამიკარგავს, მაგრამ ეს დროც საკმარისი იყო ჩემთვის. რომ განმესაზღვრა ოპერატიული ვითარება. ნათლად წარმოვიდგინე, რა სურათი დამხვდებოდა: ორ ან, შეიძლება, სამ შეიარაღებულ მძარცველს (რაოდენობა ქალის კივილის ინტონაციამ განმასაზღვრია. როგორ ხდება ამის განსაზღვრა, ვერ გეტყვით, ყოველივეს პროფესიული ალღო შველის და, რასაკვირველია, ყველა ამას ვერ გაიგებს), ფიზიკურად მეტად ძლიერს, სადარბაზოში ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებით, ე.ი. ძალით ჰყავთ შეყვანილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა ქალი და წინადადება აქვთ მიცემული, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური ზეგავლენით, მოიხსნას ბრილიანტის თვლებიანი საყურეები, ასევე ბრილიანტისა და ლალის ან „ალექსანდრიის“ ქვებით მოჭედილი ოქროს ან პლატინის ბეჭდები და ყელზე ჩამოკიდებული ძვირფასი მედალიონი (ქალს რომ ხუთი ბეჭედი ექნება, ამის დასადგენად პროფესიული გამოცდილება არ არის საჭირო. ყველამ იცის, რომ ახლა მოდაში ასეა!).

ვეცი სადარბაზოს კარებს და ვეფხვის ნახტომი გავაკეთე!., სადარბაზო განათებული აღმოჩნდა, რამაც გამაკვირვა და გამიელვა: მძარცველები გამოუცდელები არიან, თორემ გვერდზე ყველა სადარბაზო ჩაბნელებულია და რაღა აქ შემოვიდნენ-მეთქი?!. რას ვხედავ: სადარბაზოში მართლაც ოთხნი არიან; ახალგაზრდა ქალი კიბეზე ჩამომჯდარა, თავზე მამაკაცი დასდგომია, რომელიც ჩემთან ზურგით აღმოჩნდა, და კიდევ ორი ქალი, მოხუცები, ახალგაზრდასთან რომ დახრილან, ერთს მისი ხელი უჭირავს და ამშვიდებს!..

უცებ გამიელვა აზრმა, რომ მძარცველები კაცი და ეს ორი ქალია! შეიძლება ესენი ქალები კი არა, გადაცმული მამაკაცებია, აუცილებლად შეიარაღებული, და აღარ დავაყოვნე, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე: „ხელები!“ მაგრამ ვეღარ გავაგრძელე. ქალმა დამასწრო და ისე იკივლა, გეგონებოდათ ტყუპზე მშობიარობდა!.. იკივლა და მამაკაცს ჩამოეკიდა კისერზე, თან ისეთი გაგრძელებული ბგერები ამოუშვა, ღმუილი გეგონებოდათ. კაცი შემოეხვია და კოცნა დაუწყო, ხოლო მოხუცები ალერსით ამშვიდებდნენ, „ახლავე, შვილო, ახლავე!“

თავიდან ჩემი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა: როდესაც სადარბაზოში შევედი, პირველად თვალში დაზარალებულის საყურეები და ბეჭდები მომხვდა, ისე ბრჭყვიალებდნენ ელექტრონის შუქზე, როგორც მზის სხივებზე — ზღვის პირზე დაყრილი სარკის ნატეხები. ქალის საყურეები მართლაც ბრილიანტისა იყო, ბეჭდები — სულ ბრილიანტი და „ალექსანდრიის“ ქვით მოჭედილი. კულონი ვერ დავუნახე, კაცი ჰყავდა კისერზე მიხუტებული და ფარავდა!.. შეკივლების შემდეგ ქალი ისე მაგრად მოეხვია კაცს, რომ სულ გადავირიე და ახლა მე შევკივლე: ხელები მაღლა, არ გაინძრეთ-მეთქი, და შევმართე ჩახმახი — გამაფრთხილებელი გასროლა უნდა მომეხდინა, მაგრამ საშუალება არ მომცეს — ორივე მოხუცი მეცა ხელებში და იარაღი დამაშვებინა!..

— რას შვრები, შე გადარეულო?! ვერ ხედავ, რა მდგომარეობაა?! ქალი საცაა მოილოგინებს, გავარდი „სასწრაფოზე!..“

მაშინ კი მივხვდი, რომ ოპერატიული შეცდომა იყო დაშვებული, მაგრამ ეს სანანებლად არ დამრჩენია!.. კარგად იცით, ჩვენთან „სასწრაფო“ როგორ აგვიანებს და იგი საერთოდ არ გამომიძახებია! ორ წუთში სადარბაზოს ორი ოპერატიული მანქანა მოადგა და ქალი სამშობიაროში ესკორტით მივაცილე!.,

**ვახტანგ ჟვანია**



# [illegible] ჩხაიძე

## მოკვეთილი

ერთხელ, დღისით-მზისით, ღვთისომ, —
თხა ნაკლები თხაზე — მგლისო! —
იკრა ჭიბეს ხათავისოც,
სახევისოც და ხაარვისოც!..

— ეს როგორო?.. რა თავს გვჭრისო?!
ტყვია დავსვით ამ ადგილსო?!
როგორ ბედავს: სხვას — არვისო,
არად გვაგდებს არავისო?!

მაქნისია, აბა, რისო?!
ვაპატიებთ ამას ვისო?
ვინ ვგონივართ?! — ნუკრი შვლისო?!
ესო, ისო... ესო, ისო!..

ჩამოაგდეს უმალ ძირსო!..
— ამუხრუჭებს გეგმებს წლისო.
ტრესტის პრესტიჟს არად აგდებს,
სახელს უტეხს კოლექტივსო!..



## ჯამაგირის ბრალია!..

ხელფასს უჩივის მავანი,
დარდებმა სანთლად აქცია!..
„ვოლგა" სურს, მაგრამ ვერ ბედავს —
ჯამაგირი აქვს პაწია!..
რა ქნას დრო დადგა ისეთი, —
შენა ხარ ჩემი ბატონი, —
„გამოაჩენ" და... ინანებ,
ვერას გიშველის „პატრონი"!
არადა, თუგინდ იყიდის, —
„ვოლგა" რა არის, — თვითმფრინავს!
ჰოდა, ასეთი სასჯელი
იმ „რაღაც" ხელფასისთვინა?!.

* * *

ერთ ბედს ქვეშა ვართ მე და შენ! —
სულ ჯამაგირის ბრალია, —
მეც რომ ვერ „ვბედავ" მანქანას,
თუმც ხელფასს ვილებ გვარიანს!..

## შვება

...

— „მარლბორო" გახლავთ „ფირმენი",
მოსწიეთ! — გმადლობთ, არ მინდა!
დანახვაც მზარავს მაგისი,
აგერ, ხუთი თვე გავიდა!..
— ყოჩაღ! ვაჟკაცი ყოფილხართ,
სწორედ ასედაც გიცნობდით!
როგორ მშურს თქვენი, ძმობილო,
ალბათ რა შვებას იგრძნობდით!..
— ნუ იტყვით, რასაც ერთ ბლოკში
ვიხდიდი (მიჭირს გამხელა!),
იმით ახ „ექსტრას" ვყიდულობ,
შვებაა, მერე რამხელა!..

## ჩხუბი რა საკადრისია?!.

— ქალბატონო ნათია,
თავი ნუ მოგიკვდება,
ქმრებს რატომ ვერ ეწყობი,
ჩხუბი რატომ გიხდება?

— როგორ გითხრა, მიზეზი
ათასია, რას იზამ?!
ხან სიმართლეც გაბრაზებს,
ხან ნათქვამი ყასიდად...

მაგალითად, პირველი
თავს მერჩივნა, მაგრამ რა?! —
ჯამაგირზე ცხოვრებას
არ უნდოდა ატანა?!

მეორის და მესამის
გახსენებაც არ მინდა!..
მეოთხე კი, მწერალი,
წერდა დღისით, ღამითაც!..

მეხუთეზე რა გითხრა,
ჭირჭირობით სხვისია!..
ჰო, რა მკითხეთ? ჩხუბიო?! —
ეგ რა საკადრისია?!.



## რა ღირს ოპერაცია?

— ძამა, მითხრა, ეგება,
რომ არ შევრცხვე კაცია, —
რა ღირს ამ „ბალინცაში"
კუჭის აპერაცია?
— ო! — თავს აქნევს ჩოფურა,
მერე უხსნის ხალისით: —
— ჩვენში, ძმაო ეს საქმე
უფასოა! არ იცი?!
— მაი დღეს ვინ არ იცის,
რავა, თავს მჭრი ამ ხალხში?!
მე ის მინდა გავიგო,
რას იღებენ გაჭრაში?!.



## ექებს და ექებს!..

### პაროდია

ექებს და ექებს, ექებს და ექებს
საქმაროს შემძლეს, შემომტანს, შემძენს,
ინტელიგენტურს, ენების მცოდნეს,
დოქტორს ან დოცენტს, იმედის მომცემს!
თბილისში ექებს, ბათუმში ექებს,
ექებს მოსკოვში, მინსკში, როსტოვში!..
არ სწყალობს ბედი, ხან ხვდება ყბედი,
ხან შარამხვეტი!.. ქრება იმედი!..
აბა, სხვებივით „გოიმს" გაჰყვება?!
მაინც დაეძებს, მაინც არ ცხრება!..
რა ეჩქარება, რამე ნაკლი აქვს?!
ვერ გათხოვდება?! — ეგლა აკლია!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

# მოდი ვნახოთ ფული!



მოდი, ვნახოთ ფული,
სად წავიდა ფული?
მიველ, ვნახე ფული, —
კაცს მიჰქონდა ფული!

მოდი, ვნახოთ კაცი,
სად წავიდა კაცი?
მიველ, ვნახე კაცი, —
პურს ყიდულობს კაცი!

მოდი, ვნახოთ პური,
სად წაიღეს პური?
მიველ, ვნახე პური.
ბავშვმა ჭამა პური!



ბავშვი — პურით,
პური — კაცით,
კაცი ფულით არსებობს!

მოდი, ვნაჰოთ ბავშვი,
სად წავიდა ბავშვი?
მიველ, ვნახე ბავშვი, —
მერხზე იჯდა ბავშვი!

ბავშვი — პურით,
მერხი — ბავშვით,
პური — კაცით,
კაცი ფულით არსებობს!

მოდი, ვნახოთ მერხი,
სად წავიდა მერხი?
მიველ, ვნახე მერხი,
კლასში იდგა მერხი!

კლასი — მერხით,
მერხი — ბავშვით,
ბავშვი — პურით,
პური — კაცით,
კაცი ფულით არსებობს!

მოდი, ვნახოთ კლასი,
ვის ჰპირდება კლასი?
მიველ, ვნახე კლასი, —
მზრდელს უსმენდა კლასი!

მზრდელი — კლასით,
კლასი — მერხით,
ბავშვი — პურით,
პური — კაცით,
კაცი ფულით არსებობს!

მოდი, ვნახოთ მზრდელი,
სად წავიდა მზრდელი?
მიველ, ვნახე მზრდელი, —
ფულს ითვლიდა მზრდელი!..

ფული — მზრდელით,
მზრდელი — კლასით,
კლასი — მერხით,
მერხი — ბავშვით,
ბავშვი — პურით,
პური — კაცით,
კაცი — ფულით,
ფული — ფულით,
ფულით ყველა არსებობს!



**რევაზ ლორია**
ქ. ლანჩხუთი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა ძ. სიხარულიძისა                ნახ. ჯ. ლოლუასი



— სამსახურის მანქანა ჩამოართვეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის და, რა ქნას?!. გადაწყვიტა, იაფფასიანი ტრანსპორტით ისარგებლოს!

# უცხოური იუმორი

— პიტერ, როგორ მოხვდით ციხეში? — **ჰკითხეს პატიმარს.**

— გადავწყვიტე ქალის მოტაცება და, ქალის ნაცვლად, სიჩქარეში, ხელთ შემრჩა მისი მზითევი, რომელიც ნაქურდლად ჩამითვალეს!

* * *

— თქვენ უკვე ორმოცდამეათეჯერ ხვდებით ციხეში ჯიბგირობისათვის! — **ეუბნება გამძვინვარებული მოსამართლე დამნაშავეს,** — რა გიყოთ ახლა შენ?!

**დამნაშავე:** შეგიძლიათ, იუბილე გადამიხადოთ.

* * *

— მაპატიე, ძვირფასო, მაგრამ რატომ წვავ სხვადასხვა ზომის კატლეტებს?

— შენ არ მითხარი გუშინ, სხვადასხვანაირი საჭმელები მომენატრაო?!

* * *

**სახეჩალურჯებული ბიჭი შინ მივიდა.**

— რა მოგივიდა? — **ეკითხება დედა.**

— კიბეზე დავეცი!

— ბევრი იტირე?

— არა, იქ არავინ იყო და რატომ უნდა მეტირა?!

* * *

— მომეცით ხუთი კვერცხი, ოღონდ ხუთივე შავი ქათმის დადებული უნდა იყოს! — **მოსთხოვა ბაზარში მყიდველმა გამყიდველს.**

— როგორ უნდა ვიცნო? — **გაიკვირვა გამყიდველმა.**

— მე ვიცი: მსხვილები რომლებიც არის, იმას ავიღებ!

* * *

**ახალგაზრდა, ლამაზი ქალი მაღაზიაში შევიდა.**

— მითხარით, გეთაყვა, რა ღირს ეს ქსოვილი?

— არც ისე ძვირი, ქალბატონო, ერთი მეტრი — ერთხელ კოცნა!

— ნამდვილად არ ყოფილა ძვირი! რვა მეტრს ავიღებ, მისამართს დაგიტოვებთ და ბებიაჩემი გადაგიხდით!

* * *

**ცოლსა და ქმარს ჩხუბი მოუვიდათ. ცოლი ეუბნება ქმარს:**

— რადგანაც ოჯახში ლუკმაპურის შემოტანა არ შეგიძლია, მე დედასთან გადავდივარ, იქ მაინც ვიქნები უზრუნველყოფილი!

— შესანიშნავი აზრია, ძვირფასო! მითხარი, შეიძლება თუ არა, მეც გამოგყვე?

**თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა**




— კბილის ექიმი არ გახლავთ, — ხალხს მაინც არაფერი აქვს დასაღეჭი, — და შვებულებაში გაუშვეს!


ჟურნალი „ნიანგი" №7-8. (1858). აპრილი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ხართიშვილი, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ზურაბ სამარგულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 16. 03. 92 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 05. 92 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.6. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. № 381. ტირ. 63 000.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 5 მან.

ინდექსი 76127